



პროექტი დამუშავებულია 08.02.2018 წლის №05.14.147 დადგენილების საფუძველზე.

გამწვანებული ზედაპიროს ჯამური ფართობი - 11477.02 მ²

წარმოდგენილი ორი საცხოვრებელი ბლოკის პროექტის ფარგლებში არ იგეგმება არსებული ხე-მცენარეების მოჭრის ან გადარგვის ღონისძიებები, ვინაიდან არსებული ხე-მცენარეები განლაგებულნი არიან საპროექტო სამშენებლო კონტურიდან 7-12 მ.-ის დაშორებით.

პირ. აღნიშვნ.	სახელწოდება	მახასიათებლები	აღწერა	რაოდენობა
	კორპის მუხა **Querius suber**	სიმაღლე - 3.5/5 მ. ღეროს დიამეტრი - 14 სმ. დან ხნოვანება - 5-10 წელი	გვალვაგამძლე სწრაფადმზარდი	176
	არღავანი (იუდას ხე) **Cercis siliguastrum**	სიმაღლე - 3.5/5 მ. ღეროს დიამეტრი - 14 სმ. დან ხნოვანება - 5-10 წელი	გვალვაგამძლე ნელამზარდი	157
	ოქროწვიმა **Laburnum anagyrodies**	სიმაღლე - 3.5/5 მ. ღეროს დიამეტრი - 14 სმ. დან ხნოვანება - 5-10 წელი	გვალვაგამძლე სწრაფადმზარდი	13
	ოლეანდრი **Nerium Oleander**	სიმაღლე - 1/1.5 მ. (ბუჩქი) ღეროს დიამეტრი - 14 სმ. დან ხნოვანება - 3-5 წელი	გვალვაგამძლე სწრაფადმზარდი	207
	კავკასიური ცაცხვი **Tilia begoniifolia**	სიმაღლე - 3.5/5 მ. ღეროს დიამეტრი - 14 სმ. დან ხნოვანება - 5-10 წელი	გვალვაგამძლე საშუალოდ მზარდი	18
	სულ ძირი ნარგავი			571



პირ. აღნიშვნ.

საცხოვრებელი ზონა - 3. გამწვანებული ზედაპირის ჯამური ფართობი - 3474.83 მ²

სარეკრეაციო ზონა - 2. გამწვანებული ზედაპირის ჯამური ფართობი - 8002.19 მ²

საპროექტო 2 ბლოკი

დაგეგმილი ბლოკები

გამწვანებული ზედაპიროს ჯამური ფართობი - 11477.02 მ2



გამწვანების პროექტის საინფორმაციო დაფა

სახელწოდება	მახასიათებლები	აღწერა	რაოდენობა
ჯორჯის მუხა **Querius suber**	სიმაღლე - 3.5/5 მ. ღეროს დიამეტრი - 14 სმ. დან ხნოვანება - 5-10 წელი	გვალვაგამძლე სწრაფადმზარდი	176
არღავანი (იუდას ხე) **Cercis siliguastrum**	სიმაღლე - 3.5/5 მ. ღეროს დიამეტრი - 14 სმ. დან ხნოვანება - 5-10 წელი	გვალვაგამძლე ნელამზარდი	157
ოქროწვიმა **Laburnum anagyrodies**	სიმაღლე - 3.5/5 მ. ღეროს დიამეტრი - 14 სმ. დან ხნოვანება - 5-10 წელი	გვალვაგამძლე სწრაფადმზარდი	13
ოლეანდრი **Nerium Oleander**	სიმაღლე - 1/1.5 მ. (ბუჩქი) ღეროს დიამეტრი - 14 სმ. დან ხნოვანება - 3-5 წელი	გვალვაგამძლე სწრაფადმზარდი	207
ჯავჯავისიერი ცაცხვი **Tilia begoniifolia**	სიმაღლე - 3.5/5 მ. ღეროს დიამეტრი - 14 სმ. დან ხნოვანება - 5-10 წელი	გვალვაგამძლე საშუალოდ მზარდი	18
სულ ძირი ნარგავი			571

დამკვეთი: ალექსანდრე სიჭინავა 01017035664
საპროექტო ტერიტორია:
ქ. თბილისი, დიდგმის სასწავლო საცდელი მეურნეობა
(ს.კ. 01.72.14.008.293)

ნებართვის გამცემი ორგანო:
სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახური

-საპროექტო ტერიტორიის ფართობი 30000 მ^2

კ-3 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი : 11477.02 მ^2

გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღი **/**/2021
გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი **/**/2022
გასაშენებელ ხე ნარგავებსა და მათ მოვლა პატრონობაზე
პასუხისმგებელია ალექსანდრე სიჭინავა 01017035664
გასაშენებელი ხე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობა 3 წელი

წერილის ნომერი: **18-01210753573**
თარიღი: **16/03/2021**
პინი: **3688**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01210682626
წერილის თარიღი:	09 მარტი, 2021
განმცხადებელი:	ალექსანდრე ჩუბინიძე
განაცხადის N	AR1785164
მისამართი	ქალაქი თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.72.14.008.293
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	პროექტის შეთანხმება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	დოკუმენტის №3677679 თარიღი: 13 ნოემბერი, 2017 დოკუმენტის №328 (201832322; 19.11.2018) თარიღი: 13 ნოემბერი, 2018
არსებული შეზღუდვები	--------
ფართობ(ებ)ი:	30000 კვ.მ
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,რივერსაიდ დიღომი“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გამწვანების პროექტი
დასკვნა: ინფორმაციული	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

სამსახურმა 2019 წლის 06 მაისის #18-01191263583 წერილით უკვე დააფიქსირა პოზიცია და შეითანხმა წარმოდგენილი გამწვანების პროექტი.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01191263583**
თარიღი: **06/05/2019**
პინი: **6083**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2019 წლის 02 მაისის #60-01191221271 წერილი და AR1666175 განაცხადით ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ მოქალაქე ალექსანდე ჩუბინიძის მომართვის საფუძველზე, შპს „რივერსაიდ დიღომის“ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა ს.კ. #01.72.14.008.293) (სზ-3; რზ-2; ტზ-1) IV კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას გამწვანების პროექტთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის თანახმად, ტერიტორიაზე ახალი გამწვანებული სივრცეების მოსაწყობად შემოთავაზებული 571 ძირი მწვანე ნარგავი (176 ძირი კორპის მუხა, 157 ძირი არღავანი, 18 ძირი კავკასიური ცაცხვი, 207 ძირი ოლეანდრა, 13 ძირი ოქროსწვიმა) სრულად ითვისებს კ3-0.8/0.3 გამწვანების კოეფიციენტის მინიმალურ საანგარიშო ფართობს (14000 კვ.მეტრი). საკომპენსაციოდ შემოთავაზებული მცენარეები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით, **ამდენად სამსახური თანახმაა არსებული სახით შეითანხმოს გამწვანების პროექტი.**

ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ საინფორმაციო ბანერის გამოკვრამდე მასზე უნდა მიეთითოს გამწვანების პროექტის დასრულების და შეთანხმების კონკრეტული თარიღები და სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის ნაცვლად უნდა დაფიქსირდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური.

აქვე გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოიყენება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის მე-5^1 პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური

